



GOETHE-ZERTIFIKAT B1

DURCHFÜHRUNGSBESTIMMUNGEN

გამოცდის მსვლელობის ინსტრუქცია

Stand: 1. September 2025

2025 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

Zertifiziert durch
სერტიფიცირებულია



**GOETHE
INSTITUT**

Sprache. Kultur. Deutschland.

Durchführungsbestimmungen zur Prüfung GOETHE-ZERTIFIKAT B1 für Erwachsene und Jugendliche

Stand: 1. September 2025

Die Durchführungsbestimmungen zur Prüfung GOETHE-ZERTIFIKAT B1 für Erwachsene und Jugendliche sind Bestandteil der Prüfungsordnung des Goethe-Instituts in ihrer jeweils aktuellen Fassung.

Die Durchführungsbestimmungen beschreiben die Bestandteile der einzelnen Prüfungen und regeln die prüfungsspezifischen Bedingungen der Prüfungsorganisation, des Ablaufs und der Bewertung sowie die Berechnung der Prüfungsergebnisse.

Das GOETHE-ZERTIFIKAT B1 wurde gemeinsam entwickelt vom Goethe-Institut, dem ÖSD und dem Bereich Mehrsprachigkeitsforschung und Fremdsprachendidaktik/Deutsch als Fremdsprache der Universität Fribourg/Schweiz. Die Prüfung wird an den in § 2 der Prüfungsordnung genannten Prüfungszentren weltweit nach einheitlichen Kriterien durchgeführt und bewertet.

Die Prüfung dokumentiert die dritte Stufe – B1 – der im *gemeinsamen europäischen Referenzrahmen für Sprachen (GER)* beschriebenen sechsstufigen Kompetenzskala und damit die Fähigkeit zur selbstständigen Sprachverwendung.

§ 1 Prüfungsbeschreibung

Siehe hierzu auch Prüfungsordnung § 1.

1.1 Bestandteile der Prüfung

Die Prüfung GOETHE-ZERTIFIKAT B1 für Erwachsene und Jugendliche besteht aus vier Modulen, die einzeln oder in Kombination abgelegt werden können:

- drei schriftliche Module als Gruppenprüfung:
LESEN, HÖREN, SCHREIBEN,
- ein mündliches Modul als Paar- oder (in Ausnahmefällen) Einzelprüfung: SPRECHEN.

GOETHE-ZERTIFIKAT B1 ზრდასრულთა და მოზარდთა გამოცდის მსვლელობის ინსტრუქცია

2025 წ. 1 სექტემბრის მდგომარეობით

წინამდებარე გამოცდის მსვლელობის ინსტრუქცია წარმოადგენს GOETHE-ZERTIFIKAT B1 -ის ზრდასრულთა და მოზარდთა გამოცდის გოეთეს ინსტიტუტის საგამოცდო დებულების შემადგენელ ნაწილს აქტუალური რედაქციით. გამოცდის მსვლელობის ინსტრუქცია აღწერს ცალკეული გამოცდების შემადგენელ ნაწილებს და არეგულირებს გამოცდის ორგანიზაციის, მსვლელობისა და შეფასების, ისევე, როგორც გამოცდის შედეგების დაანგარიშების სპეციფიკურ საგამოცდო პირობებს.

გოეთეს სერთიფიკატი B1 გოეთეს ინსტიტუტის, ÖSD-სა და ფრიბურგ/შვეიცარიის უნივერსიტეტის მრავალეროვნების კვლევისა და უცხო ენების დიდაქტიკის / გერმანული როგორც უცხო ენა განყოფილების მიერაა შემუშავებული. მისი ჩაბარება მთელ მსოფლიოში, გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციის § 2 - ში ჩამოთვლილ საგამოცდო ცენტრებშია შესაძლებელი. გამოცდა ყველგან ერთიანი კრიტერიუმებით ტარდება და ფასდება.

გამოცდა შეესაბამება ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (GER) ექსსავენტურიანი კომპეტენციების სკალის მესამე საფეხურს - B1 და ენის დამოუკიდებლად გამოყენების უნარს ადასტურებს.

§ 1 გამოცდის აღწერა

იხილეთ, ასევე, გამოცდის დებულება § 1

1.1 გამოცდის შემადგენელი ნაწილები

გამოცდა GOETHE-ZERTIFIKAT B1 ზრდასრულთა და მოზარდთათვის ოთხი მოდულისაგან შედგება, რომლებიც სათითაოდ ან კომბინირებულად შეიძლება ჩაბარდეს:

- სამი წერითი მოდული ჯგუფური გამოცდის სახით:
"კითხვა", "მოსმენა" და "წერა",
- ზეპირი მოდული "საუბარი": წყვილებში, ან (გამონაკლის შემთხვევებში) ინდივიდუალური გამოცდის სახით.

1.2 Prüfungsmaterialien

Die Prüfungsmaterialien bestehen aus Kandidatenblättern mit Antwortbögen (*Lesen, Hören, Schreiben*), Prüferblättern mit den Bögen *Schreiben – Bewertung, Sprechen – Bewertung, Schreiben – Ergebnis, Sprechen – Ergebnis* sowie einer Audiodatei.

Die Kandidatenblätter enthalten die Aufgaben für die Prüfungsteilnehmenden:

- Texte und Aufgaben zum Modul LESEN (Teil 1-5);
- Aufgaben zum Modul HÖREN (Teil 1-4);
- Aufgaben zum Modul SCHREIBEN (Teil 1-3);
- Aufgaben zum Modul SPRECHEN (Teil 1-3, für Teil 2 jeweils zwei Themen zur Wahl).

In die Antwortbögen tragen die Prüfungsteilnehmenden ihre Lösungen bzw. ihren Text ein. Für die Module SCHREIBEN und SPRECHEN wird den Prüfungsteilnehmenden vom Prüfungszentrum gestempeltes Konzeptpapier zur Verfügung gestellt.

Die Prüferblätter enthalten für

- das Modul LESEN die Lösungen,
- das Modul HÖREN die Transkriptionen der Hörtexte und die Lösungen,
- die Module SCHREIBEN und SPRECHEN die Kriterien zur Bewertung der Leistungen,
- das Modul SCHREIBEN Hinweise zur Durchführung und Bewertung sowie pro Aufgabe jeweils zwei Leistungsbilder für das Niveau B1 und die Bewertungskriterien,
- das Modul SPRECHEN Hinweise zur Gesprächsführung und Moderation sowie die Bewertungskriterien.

In die Antwortbögen *Lesen* und *Hören* bzw. in die Bögen *Schreiben – Bewertung* und *Sprechen – Bewertung* tragen die Prüfenden ihre Bewertung ein. Die Ergebnisse werden jeweils auf die Bögen *Schreiben – Ergebnis* und *Sprechen – Ergebnis* übertragen.

Die Audiodatei enthält die Texte zum Modul HÖREN sowie alle Anweisungen und Informationen.

1.2 საგამოცდო მასალა

საგამოცდო მასალის შემადგენელი ნაწილებია: კანდიდატთა რვეულები პასუხების ფურცლებით ("კითხვა", "მოსმენა", "წერა"), გამომცდელის რვეული საგამოცდო ფურცლებით "წერა-შეფასება", "საუბარი-შეფასება", "წერა-შედეგი", "საუბარი-შედეგი" და, ასევე, აუდიო ფაილი.

კანდიდატის რვეული გამოცდის მონაწილეთათვის შემდეგ დავალებებს შეიცავს:

- ტექსტები და დავალებები მოდულისთვის "კითხვა" (ნაწილი 1-5);
- დავალებები მოდულისთვის "მოსმენა" (ნაწილი 1-4);
- დავალებები მოდულისთვის "წერა" (ნაწილი 1-3);
- დავალებები მოდულისთვის "საუბარი" (ნაწილი 1-3, მეორე ნაწილისთვის ორი თემიდან ერთია ასარჩევი).

მონაწილეებს დავალებათა პასუხები ან ტექსტი პასუხების ფურცელში გადააქვთ. მოდულებისათვის "წერა" და "საუბარი" გამოცდის მონაწილეებს საგამოცდო ცენტრის მიერ ბეჭედდასმული ჩანიშვნების ფურცელი ურიგდებათ.

გამომცდელის რვეული შეიცავს

- პასუხებს მოდულისთვის "კითხვა",
- მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიპციებსა და პასუხებს მოდულისთვის "მოსმენა",
- შედეგების შეფასების კრიტერიუმებს მოდულებისთვის "წერა" და "საუბარი",
- მსვლელობის მითითებებს მოდულისთვის "წერა" და, ასევე, B1 დონის თითოეული დავალებისთვის ორ-ორი პასუხის ნიმუშს შეფასების კრიტერიუმებით.
- საგამოცდო საუბრის წარმართვისა და მოდერაციის მითითებებს მოდულისთვის "საუბარი"

პასუხების ფურცელზე "კითხვა" და "მოსმენა", ან საგამოცდო ფურცლებზე "წერა-შეფასება" და "საუბარი-შეფასება" გამომცდელებს თავიანთი შეფასებები გადააქვთ. შედეგების გადატანა შესაბამისად ხდება საგამოცდო ფურცლებზე "წერა-შედეგი" და "საუბარი-შედეგი".

აუდიო ფაილი შეიცავს ტექსტებს მოდულისთვის "მოსმენა", ასევე, მითითებებსა და ინფორმაციას დავალებებთან დაკავშირებით.

1.3 Module

Die Materialien liegen als vier Module vor. Die Module können einzeln oder in Kombination abgelegt werden.

1.4 Zeitliche Organisation

Bei Ablegen aller vier Module an einem Prüfungstermin finden die schriftlichen Module als Gruppenprüfung in der Regel vor dem mündlichen Modul statt.

Die schriftlichen Module dauern ohne Pausen insgesamt circa 165 Minuten:

Modul	Dauer
LESEN	65 Minuten
HÖREN	ca. 40 Minuten
SCHREIBEN	60 Minuten
Gesamt	ca. 165 Minuten

Das Modul SPRECHEN wird in der Regel als Paarprüfung durchgeführt, in Ausnahmefällen ist auch eine Einzelprüfung möglich. Eine Paarprüfung dauert circa 15 Minuten, eine Einzelprüfung dauert circa 10 Minuten. Zur Vorbereitung auf die mündliche Prüfung erhalten die Teilnehmenden sowohl für die Paar- als auch für die Einzelprüfung 15 Minuten Zeit.

Für Prüfungsteilnehmende mit spezifischem Bedarf können die angegebenen Zeiten verlängert werden. Einzelheiten sind in den *Ergänzungen zu den Durchführungs-bestimmungen: Prüfungsteilnehmende mit spezifischem Bedarf* geregelt.

1.5 Protokoll über die Durchführung der Prüfung

Über die Durchführung der Prüfung wird ein Protokoll geführt, das besondere Vorkommnisse während der Prüfung festhält und mit den Prüfungsergebnissen archiviert wird.

1.3 მოდულები

მასალა ოთხი მოდულის სახით არის წარმოდგენილი. მოდულების ჩაბარება ცალ-ცალკე, ან კომბინირებულად არის შესაძლებელი.

1.4 დროის ორგანიზება

ოთხივე მოდულის ერთდროული ჩაბარებისას, წერითი მოდულები, როგორც წესი, ჯგუფური გამოცდის სახით ტარდება და ზეპირი მოდულის ჩატარებას უსწრებს წინ.

წერითი მოდულები შესვენების გარეშე, მთლიანად დაახლოებით 165 წუთს გრძელდება.

მოდული	ხანგრძლივობა
კითხვა	65 წუთი
მოსმენა	დაახლ. 40 წუთი
წერა	60 წუთი
ჯამში	დაახლ. 165 წუთი

მოდული "საუბარი" როგორც წესი, წყვილებში ტარდება, გამონაკლის შემთხვევებში დაშვებულია მისი ინდივიდუალურად ჩატარება. გამოცდა წყვილში დაახლ. 15 წუთს, ხოლო ინდივიდუალურად დაახლ. 10 წუთს გრძელდება. გამოცდის ზეპირი ნაწილისთვის, როგორც წყვილებში, ასევე ინდივიდუალურად, მოსამზადებელი დრო 15 წუთია.

სპეციალური საჭიროების მქონე გამოცდის მონაწილეთათვის შესაძლებელია გამოცდისათვის გამოყოფილი დროის გახანგრძლივება. დეტალები აღწერილია გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციის დანართში: სპეციალური საჭიროების მქონე გამოცდის მონაწილეები.

1.5 ოქმი გამოცდის ჩატარების შესახებ

გამოცდის ჩატარების შესახებ იწერება ოქმი, რომელშიც დაფიქსირებულია გამოცდის მსვლელობის დროს მომხდარი განსაკუთრებული ფაქტები და რომლის დარქივებაც გამოცდის შედეგებთან ერთად ხდება.

§ 2 Die schriftlichen Module LESEN, HÖREN und SCHREIBEN

Werden die drei schriftlichen Module an einem Prüfungs-termin angeboten, wird folgende Reihenfolge empfohlen: LESEN – HÖREN – SCHREIBEN. Aus organisatorischen Gründen kann diese Reihenfolge vom jeweiligen Prüfungszentrum geändert werden.

Zwischen jedem dieser Module ist eine Pause von mindestens 15 Minuten vorzusehen.

2.1 Vorbereitung

Vor dem Prüfungstermin bereitet der/die Prüfungsverantwortliche unter Beachtung der Geheimhaltung die Prüfungs-materialien vor. Dazu gehört auch eine inhaltliche Überprüfung inklusive der Audiodatei sowie deren Funktionalität.

2.2 Ablauf

Vor Beginn des jeweiligen Moduls weisen sich alle Teilnehmenden aus. Die Aufsichtsperson gibt danach alle notwendigen organisatorischen Hinweise.

Vor Beginn der jeweiligen Module werden die entsprechenden *Kandidatenblätter* und Antwortbögen sowie bei Bedarf gestempeltes Konzeptpapier ausgegeben.

Die Teilnehmenden tragen alle erforderlichen Daten auf Antwortbögen und Konzeptpapier ein; erst dann beginnt die eigentliche Prüfungszeit.

Die *Kandidatenblätter* zum jeweiligen Modul werden ohne Kommentar ausgegeben; alle Aufgabenstellungen sind auf den *Kandidatenblättern* erklärt.

Am Ende des jeweiligen Moduls werden alle Unterlagen, auch das Konzeptpapier, eingesammelt. Beginn und Ende der Prüfungszeit werden jeweils in geeigneter Form von der Aufsichtsperson mitgeteilt.

§ 2 წერითი მოდულები: "კითხვა", "მოსმენა" და "წერა"

სამივე წერითი მოდულის ერთ საგამოცდო დღეს ჩაბარების შემთხვევაში შემდეგი თანმიმდევრობაა რეკომენდებული: "კითხვა"- "მოსმენა"- "წერა". საორგანიზაციო მიზეზების გამო საგამოცდო ცენტრს გამოცდის ნაწილების თანმიმდევრობის შეცვლა შეუძლია.

თითოეულ მოდულს შორის მინიმუმ 15 - წუთიანი შესვენებაა გათვალისწინებული.

2.1 მომზადება

გამოცდის დაწყებამდე გამოცდაზე პასუხისმგებელი პირი, კონფიდენციალურობის დაცვის გათვალისწინებით, საგამოცდო მასალას ამზადებს, რაც გულისხმობს როგორც შინაარსობრივ გადამოწმებას, ასევე აუდიო ფაილის ფუნქციურობის გადამოწმებას.

2.2 მსვლელობა

ყოველი მოდულის დაწყების წინ ყველა მონაწილე წარადგენს პირადობის დამადასტურებელ საბუთს. ამის შემდგომ, დამკვირვებელი მათ ყველა საჭირო ორგანიზატორულ მითითებას აწვდის.

ცალკეული მოდულების დაწყებამდე შესაბამისი საგამოცდო ნაწილის კანდიდატთა რვეულები და პასუხების ფურცლები რიგდება. საჭიროების შემთხვევაში მონაწილეებს ბეჭედდასმული ჩანიშვნების ფურცელი ურიგდებათ. გამოცდის მონაწილეებს ყველა საჭირო პირადი მონაცემი პასუხების ფურცელში შეაჭვთ; მხოლოდ ამ მომენტიდან იწყება გამოცდის დროის ათვლა.

თითოეული მოდულის კანდიდატთა რვეულები უკომენტაროდ რიგდება. დავალებების მოცემულობა მონაწილეთა რვეულშია აღწერილი. ყოველი მოდულის დასასრულს ნამუშევრებისა და ჩანიშვნის ფურცლების შეგროვება ხდება. გამოცდის დაწყებისა და დასრულების დრო დამკვირვებლის მიერ შესაბამისი ფორმით ცხადდება.

Für das Ablegen der drei schriftlichen Module an einem Prüfungstermin gilt folgender Ablauf:

1. Die Prüfung beginnt in der Regel mit dem Modul LESEN. Die Teilnehmenden markieren ihre Lösungen auf den *Kandidatenblättern* und übertragen sie am Ende auf den Antwortbogen *Lesen*. Für das Übertragen ihrer Lösungen planen die Teilnehmenden circa 5 Minuten innerhalb der Prüfungszeit ein.
2. Nach einer Pause wird in der Regel das Modul HÖREN durchgeführt. Die Audiodatei wird von der Aufsichtsperson gestartet. Die Teilnehmenden markieren ihre Lösungen zunächst auf den *Kandidatenblättern* und übertragen sie am Ende auf den Antwortbogen *Hören*. Für das Übertragen ihrer Lösungen stehen den Teilnehmenden circa 5 Minuten innerhalb der Prüfungszeit zur Verfügung.
3. Danach bearbeiten die Teilnehmenden in der Regel das Modul SCHREIBEN. Den Text verfassen die Teilnehmenden direkt auf dem Antwortbogen *Schreiben*. Falls die Teilnehmenden den Text zunächst auf Konzeptpapier verfassen, planen sie für das Übertragen ihres Textes auf den Antwortbogen *Schreiben* ausreichend Zeit innerhalb der Prüfungszeit ein.

§ 3 Das Modul SPRECHEN

Das Einführungsgespräch einschließlich Vorstellung der Prüfenden und des/der Teilnehmenden dauert circa eine Minute.
Teil 1 dauert circa 2-3 Minuten, Teil 2 circa 3-4 Minuten pro PTN und Teil 3 circa 1-2 Minuten pro PTN.
Die gesamte Prüfung dauert also circa 15 Minuten (Paarprüfung) bzw. 10 Minuten (Einzelprüfung).

3.1 Organisation

Für die Prüfung steht ein geeigneter Raum zur Verfügung. Tisch- und Sitzordnung werden so gewählt, dass eine freundliche Prüfungsatmosphäre entsteht. Die Zusammensetzung der Teilnehmenden der Paarprüfung erfolgt nach dem Zufallsprinzip.

სამივე წერითი მოდულის ერთ დღეს ჩაბარების შემთხვევაში შემდეგი მსვლელობაა განსაზღვრული:

1. გამოცდა, როგორც წესი, იწყება მოდულით "კითხვა". მონაწილეები მონიშნავენ პასუხებს კანდიდატთა რვეულებში და შემდეგ გადააქვთ პასუხების ფურცელზე - "კითხვა". პასუხების გადასატანად მონაწილეებმა საგამოცდო დროიდან 5 წუთი უნდა გამოყონ.
2. შესვენების შემდეგ, როგორც წესი, ტარდება მოდული "მოსმენა". დამკვირვებელი რთავს აუდიო ფაილს. კანდიდატები ჯერ მონიშნავენ თავის პასუხებს კანდიდატის რვეულებში და დასასრულს გადააქვთ ისინი პასუხების ფურცელზე - "მოსმენა". პასუხების გადასატანად მონაწილეებს საგამოცდო დროიდან 5 წუთი ეძლევათ.
3. ამის შემდეგ, როგორც წესი, მოდული "წერა" იწყება. გამოცდის მონაწილეები ტექსტს ადგინენ უშუალოდ პასუხების ფურცელზე "წერა". იმ შემთხვევაში, თუ გამოცდის მონაწილე ტექსტს თავდაპირველად ჩანიშვნების ფურცელზე დაწერს, მან საგამოცდო დროიდან საკმარისი დრო უნდა გამოყოს პასუხების ფურცელზე "წერა" ტექსტის გადასატანად.

§ 3 მოდული "საუბარი"

შესავალი ნაწილი გამომცდელებისა და მონაწილეების წარდგენის ჩათვლით, დაახლოებით ერთი წუთს გრძელდება.
პირველი ნაწილი თითოეული მონაწილისთვის დაახლოებით 2-3 წუთს გრძელდება, მეორე - დაახლოებით 3-4 წუთს და მესამე ნაწილში ყოველ მონაწილეზე 1-2 წუთია განსაზღვრული.
გამოცდა მთლიანობაში დაახლოებით 15 წუთი გრძელდება (გამოცდა წყვილში), ან 10 წუთი (ინდივიდუალური გამოცდა).

3.1 ორგანიზება

გამოცდისათვის სათანადო მომზადებული ოთახის შერჩევა ხდება. მაგიდები და სკამები ისეა განთავსებული, რომ ოთახში კეთილგანწყობილი საგამოცდო ატმოსფერო შეიქმნას. ჯგუფი შემთხვევითობის პრინციპით კომპლექტდება.

Wie bei allen anderen Modulen muss die Identität des/der Teilnehmenden vor Beginn des Moduls SPRECHEN, gegebenenfalls auch während des Moduls SPRECHEN, zweifelsfrei festgestellt werden.

3.2 Vorbereitung

Für die Vorbereitung steht ein geeigneter Raum zur Verfügung. Die Aufsichtsperson gibt den Teilnehmenden ohne Kommentar die *Kandidatenblätter* für das Modul SPRECHEN; alle Aufgabenstellungen sind auf den *Kandidatenblättern* vermerkt. Für Notizen steht gestempeltes Konzeptpapier zur Verfügung. Die Teilnehmenden dürfen ihre in der Vorbereitungszeit erstellten stichpunktartigen Notizen während des Moduls SPRECHEN verwenden.

3.3 Ablauf

Das Modul SPRECHEN wird von zwei Prüfenden durchgeführt. Eine/-r der Prüfenden moderiert das Prüfungsge- spräch.

Bei Aufgabe 3 gibt der/die andere Prüfende Rückmeldung und stellt eine Frage. Beide Prüfenden machen Notizen und bewerten die Prüfungsleistungen unabhängig voneinander.

Für das Modul SPRECHEN gilt folgender Ablauf:

Zu Beginn begrüßen die Prüfenden die Teilnehmenden und stellen sich selbst kurz vor. Der/Die Moderator/-in führt ein kurzes Gespräch mit den Prüfungsteilnehmenden zum Kennenlernen. Die Prüfenden erläutern vor jedem Prüfungsteil kurz die Aufgabenstellung.

1. In Teil 1 planen die Teilnehmenden etwas gemeinsam.
Im Fall einer Einzelprüfung übernimmt eine/-r der Prüfenden die Rolle des Gesprächspartners/der Gesprächspartnerin.
2. In Teil 2 präsentieren die Teilnehmenden nacheinander ein Thema. Im Fall einer Einzelprüfung hält nur der/die Teilnehmende einen kurzen Vortrag.

სხვა მოდულების მსგავსად, მოდულის "საუბარი" დაწყებამდე და საჭიროების შემთხვევაში მისი მსვლელობის დროსაც მონაწილის იდენტობა უზრუნველყოფილი უნდა დადგინდეს.

3.2 მომზადება

მომზადებისათვის განსაზღვრულია სათანადო ოთახი. მონაწილეებს და მკვირვებელი უკომენტაროდ ურიგებს მოდულისთვის "საუბარი" განსაზღვრულ კანდიდატთა რვეულებს. დავალების მოცემულობა კანდიდატთა რვეულებშია აღწერილი. ჩანიშვნებისათვის ბეჭედდარტყმული ჩანიშვნების ფურცელია განსაზღვრული. მონაწილეებს შეუძლიათ მოდულისთვის "საუბარი" გამოიყენონ მოსამზადებელი დროის განმავლობაში გაკეთებული ჩანიშვნები.

3.3 მსვლელობა

მოდულს "საუბარი" ორი გამომცდელი ატარებს. ერთი გამომცდელი საგამოცდო საუბარს უძლვება. მეორე გამომცდელი მესამე დავალებაში უკუკავშირს აძლევს მონაწილეს და შეკითხვით მიმართავს მას. ორივე გამომცდელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ინიშნავს და აფასებს მონაწილეთა პასუხებს.

მოდულისთვის "საუბარი" შემდეგი მსვლელობაა განსაზღვრული:

დასაწყისში გამომცდელები ესალმებიან კანდიდატებს და მოკლედ თავს წარუდგენენ მათ. გამოცდის მოდერატორი გამოცდის მონაწილეებთან გაცნობითი სახის საუბარს მართავს. გამომცდელები თითეული საგამოცდო ნაწილის წინ დავალების მოცემულობას განმარტავენ.

1. პირველ ნაწილში მონაწილეები ერთად გეგმავენ რაღაცას. ინდივიდუალური გამოცდების შემთხვევაში, გამომცდელი მოსაუბრის როლს ითავსებს.
2. მე-2 ნაწილში მონაწილეები ერთმანეთის მიყოლებით წარადგენენ თემას. ინდივიდუალური გამოცდის შემთხვევაში თემას მხოლოდ მონაწილე წარადგენს.

3. In Teil 3 geben der/die andere Teilnehmende und der/die zweite Prüfende, die bei der Präsentation zugehört haben, Rückmeldung zu dem Gehörten und stellen Fragen. Der/Die Teilnehmende, der/die den Vortrag gehalten hat, beantwortet diese Fragen. Im Fall einer Einzelprüfung stellt nur der/die Prüfende Fragen zum Vortrag.

Am Ende der Prüfung werden alle Unterlagen, auch das Konzeptpapier, eingesammelt.

3. მესამე ნაწილში გამოცდის მეორე მონაწილე და მეორე გამომცდელი, რომლებიც წარდგენას უსმენდნენ, უკუკავშირს აძლევენ მომხსენებლს და კითხვებს უსვამენ მას. წარდგენის შემდეგ მონაწილე მსმენელთა კითხვებს პასუხობს. ინდივიდუალური გამოცდის შემთხვევაში მხოლოდ გამომცდელი სვამს კითხვებს.

გამოცდის დასასრულს ყველა საგამოცდო მასალა და ჩანიშვნების ფურცელი გროვდება.

§ 4 Bewertung schriftliche Module

Die Bewertung der schriftlichen Module findet im Prüfungszentrum oder in ausgewiesenen Diensträumen statt. Die Bewertung erfolgt jeweils durch zwei unabhängig Bewertende. Die Ergebnisse aus den schriftlichen Modulen werden nicht an die Prüfenden des Moduls SPRECHEN weitergegeben.

4.1 Modul LESEN

Im Modul LESEN gibt es 30 Items. Jedes Item ist ein Messpunkt. Pro Messpunkt und Lösung werden entweder 1 Punkt oder 0 Punkte vergeben.

Das Ergebnis wird auf 100 Ergebnispunkte umgerechnet. Dazu werden die erreichten Messpunkte mit 3,33 multipliziert und das Ergebnis jeweils gerundet:

Messpunkte	30	29	28	27	26	25	24	23	22	21
Ergebnispunkte	100	97	93	90	87	83	80	77	73	70
Messpunkte	20	19	18	17	16	15	14	13	12	11
Ergebnispunkte	67	63	60	57	53	50	47	43	40	37
Messpunkte	10	9	8	7	6	5	4	3	2	1
Ergebnispunkte	33	30	27	23	20	17	13	10	7	3
	0									

Die erzielten Ergebnisse werden in den Antwortbogen *Lesen* eingetragen, der von beiden Bewertenden gezeichnet wird.

§ 4 წერითი მოდულების შეფასება

წერითი მოდულების შეფასება საგამოცდო ცენტრში, ან საგანგებოდ ამისთვის გამოყოფილ სამუშაო ოთახებში ხდება. შედეგებს ორი შემფასებელი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აფასებს. წერითი მოდულების შეფასებები მოდულის "საუბარი" გამომცდელებს არ გადაეცემათ.

4.1 მოდული "კითხვა"

მოდული "კითხვა" 30 პუნქტისგან შედგება. თითოეული პუნქტი ერთი საზომი ქულით განისაზღვრება. ყოველ საზომ ქულასა და პასუხზე 1 ან 0 ქულა გაიცემა. შედეგის სკალირება 100 ქულაზე ხდება. ამისათვის დაგროვებული საზომი ქულები 3,33-ზე მრავლდება და მიღებული შედეგი მრგვალდება.

საზომი ქულა	30	29	28	27	26	25	24	23	22	21
შედეგი	100	97	93	90	87	83	80	77	73	70
საზომი ქულა	20	19	18	17	16	15	14	13	12	11
შედეგი	67	63	60	57	53	50	47	43	40	37
საზომი ქულა	10	9	8	7	6	5	4	3	2	1
შედეგი	33	30	27	23	20	17	13	10	7	3
	0									

მიღებული შედეგების შეტანა ხდება პასუხების ფურცელზე "კითხვა", რომელსაც ორივე შემფასებელი აწერს ხელს.

4.2 Modul HÖREN

Im Modul HÖREN gibt es 30 Items. Jedes Item ist ein Messpunkt. Pro Messpunkt und Lösung werden entweder 1 Punkt oder 0 Punkte vergeben.

Das Ergebnis wird auf 100 Ergebnispunkte umgerechnet. Dazu werden die erreichten Messpunkte mit 3,33 multipliziert und das Ergebnis jeweils gerundet:

Messpunkte	30	29	28	27	26	25	24	23	22	21
Ergebnispunkte	100	97	93	90	87	83	80	77	73	70

Messpunkte	20	19	18	17	16	15	14	13	12	11
Ergebnispunkte	67	63	60	57	53	50	47	43	40	37

Messpunkte	10	9	8	7	6	5	4	3	2	1	0
Ergebnispunkte	33	30	27	23	20	17	13	10	7	3	0

Die erzielten Ergebnisse werden in den Antwortbogen *Hören* eingetragen, der von beiden Bewertenden gezeichnet wird.

4.3 Modul SCHREIBEN

Die Bewertung des Moduls SCHREIBEN erfolgt durch zwei voneinander unabhängig Bewertende nach festgelegten Bewertungskriterien (s. *Modellsatz*, Teil *Prüferblätter*).

Es werden nur die vorgegebenen Punktewerte für jedes der Kriterien vergeben; Zwischenwerte sind nicht zulässig.

Die für die Vergabe der Punkte relevanten Fehlgriffe etc. werden auf dem Bogen *Schreiben - Bewertung* notiert.

Im Modul SCHREIBEN sind insgesamt maximal 100 Punkte erreichbar.

Es werden nur die auf dem Bogen *Schreiben - Bewertung* vorgesehenen Punktewerte für jedes der Kriterien vergeben. Bewertet wird die Reinschrift auf dem Antwortbogen *Schreiben*.

4.2 მოდული "მოსმენა"

მოდული "მოსმენა" 30 პუნქტისგან შედგება. თითოეული პუნქტი ერთი საზომი ქულით განისაზღვრება. ყოველ საზომ ქულასა და პასუხზე 1 ან 0 ქულა გაიცემა.

შედეგის სკალირება 100 საბოლოო ქულაზე ხდება. ამისათვის დაგროვებული საზომი ქულები 3,33ზე მრავლდება და მიღებული შედეგი მრგვალდება.

საზომი ქულა	30	29	28	27	26	25	24	23	22	21
შედეგი	100	97	93	90	87	83	80	77	73	70

საზომი ქულა	20	19	18	17	16	15	14	13	12	11
შედეგი	67	63	60	57	53	50	47	43	40	37

საზომი ქულა	10	9	8	7	6	5	4	3	2	1	0
შედეგი	33	30	27	23	20	17	13	10	7	3	0

მიღებული შედეგების შეტანა ხდება პასუხების ფურცელზე "მოსმენა" რომელსაც ორივე შემფასებელი აწერს ხელს.

4.3 მოდული "წერა"

მოდული "წერა" შეფასება ორი შემფასებლის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ფასდება (იხ. საგამოცდო ნიმუში, გამომცდელის რვეული).

ყოველი კრიტერიუმი ფასდება მხოლოდ შესაბამისად განსაზღვრული ქულით. შუალედური ქულა არ გაიცემა. ქულების მინიჭებისთვის განმსაზღვრელი შეცდომების ჩანიშვნა ხდება საგამოცდო ფურცელზე "წერა - შეფასება".

მოდულში "წერა" მთლიანად მაქსიმუმ 100 ქულის მიღებაა შესაძლებელი.

ყოველი კრიტერიუმი მხოლოდ საგამოცდო ფურცელზე "წერა-შეფასება" გათვალისწინებული ქულებით ფასდება. სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელზე "წერა" არსებული სუფთა ნაწერი.

Die jeweiligen Punktwerte von Bewertung 1 und Bewertung 2 werden auf den Bogen *Schreiben – Ergebnis* übertragen. Zur Ermittlung des Gesamtergebnisses wird das arithmetische Mittel aus den beiden Bewertungen gezogen und auf volle Punkte auf- bzw. abgerundet.

Eine **Drittbewertung** (= Bewertung 3) erfolgt, wenn die vergebenen Punktzahlen für das Modul SCHREIBEN der/des einen Bewertenden **unterhalb** der Bestehensgrenze und der/des anderen Bewertenden **oberhalb** der Bestehensgrenze liegen und dabei **das arithmetische Mittel** aus beiden Bewertungen **unter der Bestehensgrenze** von 60 Punkten liegt.

Das Ergebnis wird auf dem Bogen *Schreiben – Ergebnis* eingetragen.

§ 5 Bewertung Modul SPRECHEN

Die Teile 1 bis 3 zur mündlichen Produktion werden von zwei Prüfenden getrennt bewertet.

Die Bewertung erfolgt nach festgelegten Bewertungskriterien (s. *Prüferblätter*). Es werden nur die vorgesehenen Punktwerte für jedes der Kriterien vergeben; Zwischenwerte sind nicht zulässig.

Im Modul SPRECHEN sind maximal 100 Punkte erreichbar. Es werden nur die auf dem Bogen *Sprechen – Bewertung* vorgesehenen Punktwerte für jedes der Kriterien vergeben. Das Einleitungsgespräch wird nicht bewertet.

Zur Ermittlung des Ergebnisses des Moduls SPRECHEN wird aus beiden Bewertungen das arithmetische Mittel gezogen und auf volle Punkte gerundet (bis 0,49 wird abgerundet, ab 0,5 wird aufgerundet). Das Ergebnis des Moduls SPRECHEN wird auf dem Bogen *Sprechen – Ergebnis* festgehalten und als rechnerisch richtig gezeichnet. Alternativ können die Bewertungen der Prüfenden auch in eine digitale Bewertungsmaske eingegeben werden; unabhängig davon, ob eine papierbasierte oder digitale Prüfung gebucht wurde. Die Prüfenden und Bewertenden authentifizieren sich auf der Testplattform durch individuelle Login-Daten; daher entfällt die Notwendigkeit einer Unterschrift.

შეფასება 1-ისა და შეფასება 2-ის შესაბამისი ქულათა საზომები გადაიტანება საგამოცდო ფურცელზე "წერა-შედეგი". ჯამური შედეგის დასადგენად ორივე შეფასების საშუალო არითმეტიკული გამოითვლება და სრულ ქულებზე მრგვალდება.

მესამე შეფასება (= შეფასება 3) ხდება მაშინ, როდესაც გამოცდის წერით ნაწილში მიღებული ქულების რაოდენობა ერთი შემფასებლის მიერ ქულების მინიმალური დონის ქვემოთ, ხოლო მეორე შემფასებლის მიერ მინიმალურ დონეზე უფრო მაღლა ფასდება და ამასთანავე ორივე შეფასების საშუალო არითმეტიკული 60 საზომი ქულით განსაზღვრულ მინიმალურ დონეზე დაბალია.

შედეგი გადაიტანება საგამოცდო ფურცელზე "წერა-შედეგი".

§ 5 მოდულის "საუბარი" შეფასება

ზეპირი გამოცდის პირველი, მეორე და მესამე ნაწილი ორი გამომცდელის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფასდება. შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით ხდება (იხ. საგამოცდო მასალის ნიმუში, გამომცდელის რეკული). ყოველი კრიტერიუმი ფასდება მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ქულებით; შუალედური ქულების მინიჭება არ ხდება.

მოდულში "საუბარი" მაქსიმალური ქულა არის 100. თითოეული კრიტერიუმისთვის მხოლოდ ფურცლით "საუბარი-შეფასება" გათვალისწინებული ქულები გაიცემა.

შესავალი გასაუბრება არ ფასდება.

მოდულის "საუბარი" შედეგის გამოსათვლელად ორივე შეფასებიდან საშუალო არითმეტიკულის დადგენა და სრულ ქულებზე დამრგვალება ხდება (0,49-მდე მრგვალდება ნაკლებობით, ხოლო 0,5 მრგვალდება მეტობით). მოდულის "საუბარი" შედეგი ფიქსირდება საგამოცდო ფურცელზე "საუბარი-შედეგი" და დასტურდება, როგორც სწორად გამოთვლილი. გამომცდელის მიერ დაწერილი ქულები, ასევე, შეიძლება შეყვანილ იქნეს ციფრული შეფასების ცხრილში, იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორი ფორმატის გამოცდის დაკვეთა მოხდა - ციფრულის თუ ბეჭდურის. გამომცდელები და შემფასებლები იდენტიფიცირდებიან ტესტის პლატფორმაზე ინდივიდუალური წვდომის მონაცემებით; ამიტომაც ხელმოწერის საჭიროება აღარ არსებობს.

§ 6 Prüfungsergebnisse

Das jeweilige Ergebnis der Module LESEN und HÖREN wird auf den bewerteten Antwortbögen *Lesen* bzw. *Hören*, das Ergebnis der Module SCHREIBEN und SPRECHEN auf den Bögen *Schreiben - Ergebnis* bzw. *Sprechen - Ergebnis* dokumentiert.

6.1 Ermittlung der Gesamtpunktzahl

In jedem Modul können maximal 100 Punkte = 100 % erreicht werden.

6.2 Punkte, Prozentzahlen und Prädikate

Die Prüfungsleistungen der Teilnehmenden werden für jedes Modul auf der Zeugnisvorderseite in Form von Punkten bzw. Prozentzahlen dokumentiert. Auf der Zeugnisrückseite werden den Punkten Prädikate zugeordnet.

Punkte	Prädikat
100–90	sehr gut
89–80	gut
79–70	befriedigend
69–60	ausreichend
59–0	nicht bestanden

6.3 Bestehen des Moduls

Ein Modul ist bestanden, wenn mindestens 60 Punkte bzw. 60 % erreicht sind.

§ 7 Wiederholung und Zertifizierung der Module

Es gelten § 14 und § 15 der *Prüfungsordnung*.

Die Module können, sofern es die organisatorischen Möglichkeiten am Prüfungszentrum erlauben, beliebig oft abgelegt bzw. wiederholt werden.

§ 6 გამოცდის შედეგები

მოდულებში "კითხვა" და "მოსმენა" მიღებული შედეგები აღინიშნება გამომცდელის მიერ გასწორებულ პასუხების ფურცელზე "კითხვა" და "მოსმენა". მოდულების "წერა" და "საუბარი" შედეგები კი საგამოცდო ფურცლებზე „წერა-შედეგი“ან „საუბარი-შედეგი“ გადადის.

6.1 ჯამური ქულების დადგენა

თითოეულ მოდულში მაქსიმუმ 100 ქულის=100% მიღწევაა შესაძლებელი.

6.2 ქულები, პროცენტული მაჩვენებლები და შეფასებები

მონაწილეთა თითოეული მოდულის საგამოცდო შედეგები სერტიფიკატის წინა მხარეს ქულების ან/და პროცენტული მაჩვენებელის სახით ფიქსირდება. სერტიფიკატის მეორე მხარეს ქულების რაოდენობის შეფასებებთან შესაბამისობაში მოყვანა ხდება.

ქულები	შეფასება
100–90	ფრიადი
89–80	კარგი
79–70	დამაკმაყოფილებელი
69–60	საკმარისი
59–0	ჩაჭრილი

6.3 მოდულის ჩაბარება

მოდული ჩაბარებულად ითვლება მინიმუმ 60 ქულის ან/და ქულების 60 %-ის მიღწევისას.

§ 7 მოდულების გამეორება და სერტიფიცირება

ძალაშია გამოცდის დებულების § 14 და § 15

თუ საგამოცდო ცენტრის ორგანიზაციორული პირობები საშუალებას იძლევა, შესაძლებელია მოდულების ნებისმიერი სიხშირით ჩაბარება ან/და გადაბარება.

§ 8 Schlussbestimmungen

Diese Durchführungsbestimmungen treten am 1. September 2025 in Kraft und gelten erstmals für Prüfungsteilnehmende, deren Prüfung nach dem 1. September 2025 stattfindet.

Im Falle von sprachlichen Unstimmigkeiten zwischen den einzelnen Sprachversionen der Durchführungsbestimmungen ist die deutsche Fassung maßgeblich.

§ 8 საბოლოო დებულებები

გამოცდის მსვლელობის ეს ინსტრუქცია ძალაში შედის 2025 წ. 1 სექტემბერს და აქტუალურია გამოცდის იმ მონაწილეებისთვის, რომელთა გამოცდაც 2025 წ. 1 სექტემბრის შემდეგ ტარდება.

გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციის სხვადასხვა ენობრივი ვერსიების შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტი გერმანულ ვერსიას ენიჭება.

Legende zu Formatierungen:

VERSAL: Prüfungsnamen und Prüfungsteile (z. B. „Modul SPRECHEN“)

kursiv: Dokumentenbezeichnungen, Eigennamen, Verweise (z. B. „Der Bogen Schreiben – Ergebnis wird ...“)

ANHANG

Zusätzliche Regelungen zur Durchführung digitaler Deutschprüfungen

Digitale Deutschprüfungen werden in Präsenz an einem Laptop des Prüfungszentrums des Goethe-Instituts abgelegt. Abweichend oder zusätzlich zu den oben stehenden Regelungen gilt Folgendes:

1. Abweichend von 1.2 (Prüfungsmaterialien) gilt:

Sämtliches Prüfungsmaterial der Module/Prüfungsteile LESEN, HÖREN und SCHREIBEN wird den Prüfungsteilnehmenden mittels einer Testplattform digital vorgelegt und von diesen digital bearbeitet. Die Prüfungsteilnehmenden verfassen ihre Texte mit einer deutschen Tastatur. Das digitale Material entspricht inhaltlich der papierbasierten Prüfung. Die Übertragung auf Antwortbögen entfällt, da die Prüfungsteilnehmenden ihre Lösungen und ihre Texte direkt auf der Testplattform eingeben. Eine Änderung ihrer Lösungen und ihrer Texte ist so lange möglich, bis das jeweilige Modul bzw. bei nicht-modularen Prüfungen die schriftliche Prüfung abgegeben wurde bzw. die vorgegebene Prüfungszeit abgelaufen ist.

Die Teilnehmenden können am Anfang jedes Moduls bzw. bei nicht-modularen Prüfungen zu Beginn der schriftlichen Prüfung ein Tutorial mit Erklärungen zum Umgang mit der Testplattform ansehen. Die Prüfungszeit startet erst danach.

Die Texte zum Modul/Prüfungsteil HÖREN werden direkt durch die Testplattform über Kopfhörer ausgespielt.

Beim Modul/Prüfungsteil SPRECHEN erhalten die Prüfungsteilnehmenden die Aufgaben weiterhin auf Papier.

Für alle Module/Prüfungsteile können die Prüfungsteilnehmenden bei Bedarf vom Prüfungszentrum gestempeltes Konzeptpapier erhalten.

დანართი

დამატებითი წესები გერმანული ენის ციფრული გამოცდების ჩასატარებლად

გერმანული ენის ციფრული გამოცდები ტარდება დასწრებულ რეჟიმში გოეთეს ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრის ლეპტოპზე. ზემოაღნიშნული წესებისგან განსხვავებით ან დამატებით შემდეგი პირობები მოქმედებს:

1. 1.2-გან (საგამოცდო მასალები) განსხვავებით ძალაშია:

მოდულების/საგამოცდო ნაწილების "კითხვა", "მოსმენა" და "წერა" მთელი საგამოცდო მასალა გამოცდის მონაწილეებს სატესტო პლატფორმის სახით ციფრულად მიწოდებათ და მათ მიერვე ციფრულად მუშავდება. გამოცდის მონაწილეები ტექსტებს გერმანული კლავიატურის დახმარებით ადგენენ. ციფრული მასალა შინაარსობრივად შეესაბამება გამოცდის ბეჭდური ფორმატის ვარიანტს. პასუხების ფურცელზე გადატანა აღარ ხდება, რადგანაც კანდიდატებს პასუხები და ტექსტები უშუალოდ სატესტო პლატფორმაზე შეაქვთ. მათ პასუხებისა და ტექსტების შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ მოცემული მოდულის, ან არამოდულარული გამოცდის შემთხვევაში - წერილობითი გამოცდის ნაწერის ჩაბარებამდე და/ან გამოცდის დროის ამოწურვამდე.

ყოველი მოდულის, ან არამოდულარული გამოცდების შემთხვევაში წერილობითი გამოცდის დასაწყისში მონაწილეებს შეუძლიათ ნახონ სატესტო პლატფორმის მოხმარების განმარტებითი ტუტორიალი. გამოცდის დროის ათვალი მხოლოდ ამის შემდეგ იწყება.

მოდულის/საგამოცდო ნაწილის "მოსმენა" ტექსტების მოსმენა ყურსასმენებით უშუალოდ სატესტო პლატფორმიდან ხდება.

მოდულის/საგამოცდო ნაწილის "საუბარი" ჩაბარებისას გამოცდის მონაწილეებს დავალებები ბეჭდური ფორმატით ეძლევათ.

საჭიროების შემთხვევაში, თითოეული მოდულის ან გამოცდის ნაწილისთვის, მონაწილეებს შეუძლიათ საგამოცდო ცენტრისგან მიიღონ შტამპით დამოწმებული სამუშაო ფურცელი.

2. Abweichend von § 4 (Bewertung) gilt:

Die Aufgaben mit vorgegebenen Antwortmöglichkeiten in den Modulen/Prüfungsteilen LESEN und HÖREN werden technisch automatisiert durch die Testplattform bewertet. Bei den Modulen/Prüfungsteilen SCHREIBEN und SPRECHEN werden die Bewertungen durch zwei voneinander unabhängig Prüfende/Bewertende direkt auf der Testplattform eingegeben. Die Bewertungskriterien entsprechen den Bewertungskriterien der papierbasierten Prüfung. Die Prüfenden und Bewertenden authentifizieren sich auf der Testplattform durch individuelle Login-Daten, daher entfällt die Notwendigkeit einer Unterschrift.

2. §4-გან (შეფასება) განსხვავებით ძალაშია:

მოდულების/საგამოცდო ნაწილების "კითხვა" და "მოსმენა" დავალებები წინასწარ მოცემული პასუხების ვარიანტებით სატესტო პლატფორმის მიერ ტექნიკურად ავტომატური ფორმით ფასდება. მოდულებში/საგამოცდო ნაწილებში "წერა" და "საუბარი" შეფასებები ორ გამომცდელს / შემფასებელს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უშუალოდ სატესტო პლატფორმაზე შეაქვს. შეფასების კრიტერიუმები ბეჭდური ფორმატის გამოცდის შეფასების კრიტერიუმებს შეესაბამება. გამომცდელები და შემფასებლები სატესტო პლატფორმაზე იდენტიფიკაციას პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემების საშუალებით გადიან, ამიტომ ხელმოწერის აუცილებლობა აღარ არსებობს.

Zusätzliche Regelungen zur Durchführung von Online-Deutschprüfungen

Online-Deutschprüfungen werden unter bestimmten Voraussetzungen (vgl. zusätzliche Regelungen in den Anhängen der *Prüfungsordnung* und *Durchführungsbestimmungen*) ortsunabhängig an einem privaten Desktop-Computer oder Laptop abgelegt. Für Online-Deutschprüfungen gilt Folgendes:

1. Abweichend von 1.2 (Prüfungsmaterial) gilt:

Sämtliches Prüfungsmaterial der Module/Prüfungsteile LSEN, HÖREN und SCHREIBEN wird den Prüfungsteilnehmenden mittels einer Testplattform digital vorgelegt und von diesen digital bearbeitet. Das digitale Material entspricht inhaltlich der papierbasierten Prüfung. Die Übertragung auf Antwortbögen entfällt, da die Prüfungsteilnehmenden ihre Lösungen und ihre Texte direkt auf der Testplattform eingeben. Eine Änderung ihrer Lösungen und ihrer Texte ist so lange möglich, bis das jeweilige Modul bzw. bei nicht-modularen Prüfungen die schriftliche Prüfung abgegeben wurde bzw. die vorgegebene Prüfungszeit abgelaufen ist.

Die Teilnehmenden können am Anfang jedes Moduls bzw. bei nicht-modularen Prüfungen zu Beginn der schriftlichen Prüfung ein Tutorial mit Erklärungen zum Umgang mit der Testplattform ansehen. Die Prüfungszeit startet erst danach.

Die Texte zum Modul/Prüfungsteil HÖREN werden direkt durch die Testplattform über den Lautsprecher ausgespielt.

2. Zusätzlich zu 2.1 (Vorbereitung) gilt:

2.1 Die Prüfungsteilnehmenden verwenden einen Desktop-Computer oder Laptop mit Netzbetrieb, stabiler Internetverbindung, integriertem Mikrofon, integriertem/externem Lautsprecher und integrierter/externer Webcam.

2.2 Die Tastatursprache ist auf Deutsch eingestellt.

2.3 Die Prüfungsteilnehmenden stellen die Erfüllung der **technischen Voraussetzungen**, die im Folgenden sowie im Buchungsprozess aufgeführt werden, für die Prüfungs-durchführung eigenverantwortlich sicher:

დამატებითი წესები გერმანული ენის ონლაინ-გამოცდების ჩასატარებლად

გერმანული ენის ონლაინ-გამოცდები ტარდება გარკვეული წინაპირობების დაცვით (შდრ. დამატებითი რეგულაციები გამოცდის დებულებისა და გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციის დანართებში), განურჩევლად ადგილმდებარეობისა, პირად დესკტოპ-კომპიუტერზე ან ლეპტოპზე. გერმანული ენის ონლაინ-გამოცდებზე შემდეგი პირობები მოქმედებს:

1. 1.2-გან (საგამოცდო მასალა) განსხვავებით ძალაშია:

მოდულების/საგამოცდო ნაწილების "კოთხვა", "მოსმენა" და "წერა" მთელი საგამოცდო მასალა გამოცდის მონაწილეებს სატესტო პლატფორმის სახით ციფრულად მიწოდებათ და მათ მიერვე ციფრულად მუშავდება. ციფრული მასალა შინაარსობრივად შეესაბამება გამოცდის ბეჭდური ფორმატის ვარიანტს. პასუხების ფურცელზე გადატანა ადარ ხდება, რადგანაც კანდიდატებს პასუხები და ტექსტები უშუალოდ სატესტო პლატფორმაზე შეაქვთ. პასუხისა თუ ტექსტის შეცვლა მათ შეუძლიათ მხოლოდ მოცემული მოდულის, ან არამოდულარული გამოცდის შემთხვევაში-წერილობითი გამოცდის ნაწერის ჩაბარებამდე და/ან გამოცდის დროის ამოწურვამდე.

ყოველი მოდულის, ან არამოდულარული გამოცდების შემთხვევაში წერილობითი გამოცდის დასაწყისში მონაწილეებს შეუძლიათ ნახონ სატესტო პლატფორმის მოხმარების განმარტებითი ტუტორიალი. გამოცდის დროის ათვლა მხოლოდ ამის შემდეგ იწყება.

მოდულის/საგამოცდო ნაწილის "მოსმენა" ტექსტების მოსმენა დინამიკურით უშუალოდ სატესტო პლატფორმიდან ხდება.

2. 2.1-ის (მომზადება) დამატებით ძალაშია:

2.1 გამოცდის მონაწილეები იყენებენ ქსელში მომუშავე დესკტოპ-კომპიუტერს ან ლეპტოპს, სტაბილური ინტერნეტ კავშირით, ჩამენებული მიკროფონით, ჩაშენებული/გარე დინამიკითა და ჩაშენებული/გარე ვებკამერით.

2.2 კლავიატურა გერმანულ ენაზეა დაყენებული.

2.3 გამოცდის მონაწილეები პასუხისმგებელი არიან გამოცდის იმ ტექნიკური წინაპირობების შესრულებაზე, რომლებიც ჩამოთვლილია ქვემოთ, და, ასევე, მოცემულია დაჯავშნის პროცედურაშიც:

Technische Voraussetzungen:

Gerät:

- Desktop-, Laptop-Computer oder Chromebook
- Sicherheitsüberprüfung und ggf. zweite Kamera: Smartphone

Monitor:

- ein Monitor oder Bildschirm
- mehrere Monitore oder Doppelbildschirme sind nicht zulässig

Lautsprecher/Mikrofon:

- interner oder externer Lautsprecher sowie ein im Computer oder der Webcam integriertes Mikrofon
- Kopfhörer mit oder ohne eingebautes Mikrofon oder In-Ear-Kopfhörer sind nicht zulässig.

Kamera:

- Integrierte Kamera oder eine separate Webcam
- Hinweis: Die Kamera muss so bewegen können, dass die Prüfungsaufsicht einen 360°-Blick auf den Raum, einschließlich der Tischoberfläche und Tischunterseite, erhält.
- Ggf. Smartphone als zweite Kamera

Browser:

- Google-Chrome™-Browser
- Browser des Dienstleisters für die virtuelle Prüfungsüberwachung wird beim Technik-Check und am Prüfungstag bereitgestellt.

Internetverbindung:

- Erforderlich: Upload- und Download-Geschwindigkeit von 5 Mbit/s
- Empfehlung: 10 Mbit/s

2.4 Unmittelbar vor der Prüfungsdurchführung müssen alle Computer-Anwendungen und Programme geschlossen sein, die nicht für die Prüfung relevant sind.

ტექნიკური წინაპირობები:

მოწყობილობა:

- დესკტოპ-კომპიუტერი, ლეპტოპი ან ქრომბუქი
- უსაფრთხოების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში მეორე კამერა: სმარტფონი

მონიტორი:

- მონიტორი ან ეკრანი
- რამდენიმე მონიტორი ან ორმაგი ეკრანები არაა დაშვებული

დინამიკი/მიკროფონი:

- შიდა ან გარე დინამიკები და, ასევე, კომპიუტერსა ან ვებ კამერაში ჩაშენებული მიკროფონი
- ყურსასმენები ჩაშენებული მიკროფონით ან მის გარეშე, ან In-Ear-ყურსასმენები დაშვებული არაა

კამერა:

- ჩაშენებული ან დამოუკიდებელი ვებ-კამერა
- განმარტება: კამერა მოძრავი უნდა იყოს იმგვარად, რომ გამოცდის დამკვირვებელს ოთახის 360°-იანი ხედი ჰქონდეს, მაგიდის ზედა და ქვედა ზედაპირის ჩათვლით.
- საჭიროების შემთხვევაში სმარტფონი როგორც მეორე კამერა

ბრაუზერი:

- Google-Chrome™-ბრაუზერი
- პროვაიდერის ბრაუზერი ვირტუალური გამოცდის მონიტორინგისთვის ტექნიკური შემოწმების დროს და გამოცდის დღეს ხელმისაწვდომი იქნება.

ინტერნეტკავშირი:

- სავალდებულოა: ატვირთვისა და ჩამოტვირთვის სიჩქარე 5 მბიტ/წმ
- რეკომენდირებულია: 10 მბიტ/წ

2.4 უშუალოდ გამოცდის დაწყებამდე უნდა დაიხუროს გამოცდისთვის შეუსაბამო ყველა კომპიუტერული აპი და პროგრამა.

3. Abweichend von 2.2 (Ablauf) gilt:

3.1 Die Prüfungsteilnehmenden sorgen dafür, dass sie die Prüfung in einem störungsfreien Raum mit adäquaten Licht- und Sitzverhältnissen ablegen. Räume mit mehr als einer Tür oder mit großen Glasfronten sind nicht erlaubt.

3.2 Während der Prüfung befinden sich außer dem/der Prüfungsteilnehmenden keine weiteren Personen oder Haustiere im Raum, Tür und Fenster werden geschlossen.

3.3 Zur Sicherstellung, dass während der Prüfung keine weiteren Personen den Raum betreten, müssen Arbeitsplatz und Webcam so ausgerichtet werden, dass der/die Prüfungsteilnehmende und die Tür permanent im Bild sind.

3.4 Der Prüfungsplatz wird so eingerichtet, dass die Arbeitsfläche leer ist und sich außer dem Desktop-Computer mit Monitor oder Laptop, Lichtbildausweis, ggf. Tastatur und Lautsprecher keine weiteren Gegenstände auf dem Tisch befinden. Wenn der Arbeitstisch über Schubladen verfügt, müssen diese vor der Prüfung leergeräumt werden. Hierzu erfolgt eine Kontrolle.

3.5 Zur Überprüfung der Einhaltung der Prüfungsbedingungen führt die Prüfungsaufsicht zusammen mit dem/der Prüfungsteilnehmenden eine Überprüfung des Raums per Webcam durch.

3.6 Der/Die Prüfungsteilnehmende muss während der ganzen Prüfung erkennbar sein. Das Gesicht und die Ohren des/der Prüfungsteilnehmenden müssen während der gesamten Prüfung sichtbar sein und dürfen nicht verdeckt werden.

3.7 Smartwatches, analoge Uhren, Schmuckstücke im Gesichtsbereich, Haarschmuck sowie gesichtsnahe Accessoires, wie z.B. Tücher, Schals, Krawatten, dürfen während der Prüfung nicht getragen werden, um zu gewährleisten, dass keine unerlaubten technischen Hilfsmittel benutzt werden.

3.8 Mobiltelefone und weitere mobile Endgeräte müssen nachweislich ausgeschaltet und außerhalb der Reichweite des/der Prüfungsteilnehmenden deponiert werden.

3. 2.2-გან (მსვლელობა) განსხვავებით ძალაშია:

3.1 გამოცდის მონაწილეები უზრუნველყოფენ გამოცდის ჩაბარებას იზოლირებულ ოთახში, სათანადო განათებითა და დასაჯდომი პირობებით. ოთახები ერთზე მეტი კარით ან დიდი შუშის ფასადით არ არის ნებადართული.

3.2. გამოცდის მსვლელობისას გამოცდის მონაწილის გარდა ოთახი არ დაიშვებიან სხვა პირები ან შინაური ცხოველები, კარი და ფანჯარა იკეტება.

3.3 იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოცდის დროს ოთახში სხვა პირები არ შევიდნენ, სამუშაო ადგილი და ვებკამერა ისე უნდა მოეწყოს, რომ გამოცდის მონაწილე და კარი კადრში მუდმივად ჩანდეს.

3.4 საგამოცდო ადგილი ისე უნდა მოეწყოს, რომ სამუშაო ზედაპირი ცარიელი იყოს და მაგიდაზე არ იყოს სხვა საგნები, დასაშვებია მხოლოდ: დესტრქ-კომპიუტერი მონიტორით ან ლეპტოპი, ფოტოსურათიანი პირადობის მოწმობა, კლავიატურა და დინამიკები. თუ სამუშაო მაგიდას აქვს უჯრები, ისინი გამოცდამდე უნდა დაიცალოს. ყოველივე ეს შემოწმდება.

3.5 საგამოცდო პირობების შესრულების შესამოწმებლად გამოცდის მეთვალყურე და გამოცდის მონაწილე ოთახს ვებკამერის საშუალებით ამოწმებენ.

3.6 გამოცდის მონაწილე ამოცნობადი უნდა იყოს მთელი გამოცდის განმავლობაში. გამოცდის მონაწილის სახე და ყურები უნდა იყოს ხილული მთელი გამოცდის განმავლობაში და არ უნდა იყოს დაფარული.

3.7 სმარტ-საათები, ანალოგური საათები, სამკაულები სახის არეში, თმის სამშვენისები და სახის სიახლოეს სატარებელი აქსესუარები, როგორიცაა შალები, შარფები, ჰალსტუხები, გამოცდის დროს დაუშვებელია, რათა არ მოხდეს აკრძალული ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

3.8 მობილური ტელეფონები და სხვა ტერმინალური მოწყობილობები ყველასათვის დასანახად უნდა გამოირთოს და მიუწვდომელი იყოს გამოცდის მონაწილისთვის.

3.9 Prüfungsteilnehmende verpflichten sich, die vorbereitenden Schritte zur Prüfungs durchführung sowie die Hinweise der Prüfungsaufsicht zu beachten und Anweisungen umzusetzen.

3.10 Der schriftliche Teil der Online-Deutschprüfung findet als Einzelprüfung statt. Der Prüfungsteil/Das Modul SPRECHEN wird abhängig von den Gegebenheiten am Prüfungs zentrum entweder als Einzel- oder Paarprüfung durchgeführt.

Die zeitliche Organisation der Prüfung erfolgt gemäß 1.4.: Falls während der schriftlichen Prüfung ein Toilettengang erforderlich ist, wird der Zeitplan beibehalten und die Prüfungszeit nicht verlängert.

3.9 გამოცდის მონაწილეები იღებენ ვალდებულებას, დაიცვან გამოცდის ჩატარების მოსამზადებელი ეტაპები, შეასრულონ გამოცდის დამკაირვებლის ინსტრუქციები და მისი მითითებები.

3.10 გერმანული ენის ონლაინ - გამოცდის წერითი ნაწილი ინდივიდუალური გამოცდის სახით ტარდება. გამოცდის ნაწილი/მოდული „საუბარი“ ჩატარდება მოცემულობის მიხედვით გამოცდების ცენტრში, ინდივიდუალურად ან წყვილებში. გამოცდის ჩატარების დრო განისაზღვრება 1.4-ის მიხედვით: წერითი გამოცდის დროს ტუალეტში გასვლის აუცილებლობის შემთხვევაში, განრიგი შენარჩუნდება და გამოცდის დრო არ გახანგრძლივდება.

4. Abweichend von § 4 und § 5 (Bewertung) gilt:

Die Aufgaben mit vorgegebenen Antwortmöglichkeiten in den Modulen/Prüfungsteilen LESEN und HÖREN werden technisch automatisiert durch die Testplattform bewertet. Bei den Modulen/Prüfungsteilen SCHREIBEN und SPRECHEN werden die Bewertungen durch zwei voneinander unabhängig Prüfende/Bewertende direkt auf der Testplattform eingegeben. Die Bewertungskriterien entsprechen den Bewertungskriterien der papierbasierten Prüfung (siehe dazu § 4 und § 5). Die Prüfenden und Bewertenden authentifizieren sich auf der Testplattform durch individuelle Login-Daten, daher entfällt die Notwendigkeit einer Unterschrift.

4. §4 და §5-გან (შეფასება) განსხვავებით ძალაშია:

დავალებები წინასწარ განსაზღვრული პასუხის ვარიანტებით მოდულებში/გამოცდის ნაწილებში "კითხვა" და "მოსმენა" ტექნიკურად ავტომატური ფორმით ფასდება ტესტის პლატფორმის საშუალებით. მოდულები / საგამოცდო ნაწილები "წერა" და "საუბარი" ორი გამომცდელის / შემფასებლის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უშუალოდ ტესტის პლატფორმაზე ფასდება. შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება ბეჭდური ფორმატის გამოცდის შეფასების კრიტერიუმებს (იხ. § 4 და § 5). გამომცდელები და შემფასებლები აუთენტიფიკაციას ტესტის პლატფორმაზე ინდივიდუალური წვდომის მონაცემებით ახდენენ, ასე რომ ხელმოწერის საჭიროება არ არსებობს.